

დაარსდა 1918 წელს.
თბილისი, 23 მაისი, 2012 წელი.
№96 (6972)

ადამიანი დროში

ფერდინანდ თაყაიძის, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, გნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატს, 2012 წლის 21 მაისს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. იგი მიეკუთვნება იმ სახელგანთქმულ მკვლევართა რიცხვს, რომელთაც უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოში ახალი მეცნიერული მიმართულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მან ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ქვეყანაში ლითონმცოდნეობის, უფრო ზოგადად არაორგანული მასალათმცოდნეობის, ლითონების ჩამოსხმის, მათი თერმული დამუშავების, ლითონთა კოროზიული მედეგობის და სხვა მეცნიერულ სფეროებში კვლევა-ძიებას.

ფერდინანდ თაყაიძე დაიბადა ქ. გორში ნესტორ თავაძისა და ნინო ბესიაშვილის ოჯახში. ნესტორ თავაძე წარმოშობით ბაღდათიდან იყო. მას სასულიერო მოღვაწეობისთვის ამზადებდნენ, მაგრამ იგი გორში დასახლდა, ჩოხა-ახალუხის კერვის ხელოვნებას დაეუფლა და პატარა სახელოსნოც გახსნა.

ფერდინანდმა, როგორც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ სკოლაში მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება. იგი გამოირჩეოდა კეთილგანწყობით და საოცარი იუმორის გრძობით. კარგად ხატავდა, სპექტაკლებს აფორმებდა გორის მუშათა კლუბში, სადაც წარმატებით გამოსცადა თავისი არტისტიკული შესაძლებლობები. მაგრამ ახალგაზრდა ფერდინანდი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ზუსტი მეცნიერებებისადმი იჩენდა და სწორედ ამან განსაზღვრა მისი მომავალი - 1930 წელს რეკონსტრუქციის სახელმწიფო სტრუქტურების რეკონსტრუქციის სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის სატყეო-ტიქნიკურ ინსტიტუტში გაგზავნეს.

1933 წელს საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ხუთასი წარჩინებული სტუდენტი მეტალურგიული პროფილის სასწავლებლებში გადაიყვანეს ამ დარგის გაძლიერების მიზნით. მათ რიცხვში იყო ფერდინანდ თაყაიძეც, რომელმაც სწავლა განაგრძო ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე.

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ლენინგრადი წარმოადგენდა რუსეთის უმსხვილეს სამრეწველო-სამეცნიერო ცენტრს: აქ იყო სსრკ-ს აკადემიის პრეზიდიუმი, მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები და ქვეყნის უდიდესი ქარხნები. ამრიგად, ენერჯითა და ოპტიმიზმით აღსავსე ფერდინანდ თაყაიძემ აღმოაჩინა მეცნიერული ტრადიციების მქონე გარემოში. ნიჭიერი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩათ და, ჯერ კიდევ სტუდენტი, სამუშაოდ მიიწვიეს პროფესორ ვ. ანდრეევის სამსხმელო ლაბორატორიაში ტექნიკოს-ლაბორანტად.

1935 წელს სადიპლომო ნაშრომის შესასრულებლად ფ.თაყაიძე ლითონების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აკადემიკოს ა. ბაიკოვის ლაბორატორიაში მიავლინეს და სადიპლომო ნაშრომის შესრულების შემდეგ იქვე დატოვეს ინჟინრის თანამდებობაზე. თავისი პირველი მეცნიერული კვლევა ფ.თაყაიძემ აკადემიკოს ა. ბაიკოვის ხელმძღვანელობით შეასრულა. აქვე დაუახლოვდა მაშინ უკვე ცნობილ მეცნიერს, გამოჩენილ ჩამომსხმელს, პროფესორ ნ. გირშოვიჩს, რომელთანაც თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ფერდინანდ თაყაიძემ კარგი სკოლა გაიარა ს. კიროვის სახელობის ქარხანაში (ყოფილი პუტილოვის ქარხანა) ინჟინერ-მკვლევარის თანამდებობაზე. მთელ ქვეყანაში ცნობილი სანარმო აღჭურვილი იყო იმ დროისათვის საუკეთესო მოწყობილობა-დანადგარებით, ჰქონდა მძლავრი ცხელი საამქროები, რაც ახალგაზრდა ინჟინერს შემოქმედებითი მოღვაწეობის ფართო ასპარეზს უქმნიდა.

ამ დროისთვის ფერდინანდ თაყაიძე უკვე ოთხი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მან თავი გამოავლინა როგორც კვალიფიციურმა მკვლევარმა და მიიპყრო აკადემიკოსების ა. ბარდინისა და ნ. გუდცოვის ყურადღება. ნ. გუდცოვის რეკომენდაციით ფ. თაყაიძე გაგზავნეს სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად. 1937 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო ის იძულებული გახდა შეენწყვიტა სამეცნიერო მოღვაწეობა ლენინგრადში და თბილისში დაბრუნებულიყო.

ფერდინანდ თაყაიძემ დაბრუნებისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტსა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. პარალელურად მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში განაგრძო მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე, რომლის კონტურებიც ჯერ კიდევ ლენინგრადში გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში მას მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ლენინგრადელ მასწავლებლებთან და მეცნიერებთან. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკადემიკოს ა. ბაიკოვის კონსულტაციები.


1939 წელს ფერდინანდ თაყაიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წელს იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონთა

ტექნოლოგიის კათედრის დოცენტად აირჩიეს. 1941-1945 წლის ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ფერდინანდ თაყაიძის სამეცნიერო გეგმები. ტექნიკური ინსტიტუტის წინაშე დაისვა ახალი ამოცანები ქარხნების სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. ბატონი ფერდინანდი მთლიანად ჩაება ამ რთულ და საპასუხისმგებლო პროცესში. ის თავდაუზოგავად მუშაობდა მნიშვნელოვანი თავდაცვითი ამოცანების გადასაწყვეტად.

ომის დამთავრების შემდეგ ფერდინანდ თაყაიძეს, როგორც დიდი სანარმოო გამოცდილების მქონე მეცნიერს, ირჩივეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის გამგედ. ამ პერიოდიდან მისი მეცნიერული კვლევის ასპარეზი ფართოვდება. მას საშუალება ეძლევა სამეცნიერო კვლევები შეას-

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული...

ფერდინანდ თაყაიძე - ქართული პეპლუკიული მუსიკის მამამთავარი



რულოს როგორც ინსტიტუტში, ასევე კათედრაზე. 1947 წელს ბატონმა ფერდინანდმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქრომმანგანუმიანი თუჯები“, რომელიც მიეძღვნა იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას და უამრავ ნოვატორულ იდეას შეიცავდა. მისი დისერტაციის ოპონენტები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევროკორესპონდენტი გ. გედევანიშვილი, მოსკოველი პროფესორი ი. კორნილოვი და სტალინური პრემიის ლაურეატები, ლენინგრადელი მეცნიერები - აკადემიკოსი ნ. გუდცოვი და პროფესორი ი. ნეხეძი.

1949 წელს ახალგაზრდა პროფესორის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონთა ტექნოლოგიისა და ლითონმცოდნეობის კათედრის გამგედ ირჩივეს, ხოლო 1951 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის (ამჟამად ფერდინანდ თაყაიძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი) დირექტორად, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

1955 წელს ბატონი ფერდინანდი უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევროკორესპონდენტი, ხოლო 1960 წლიდან - აკადემიკოსი. 1962 წელს ფერდინანდ თაყაიძეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში უკვე დამთავრდა ომის შემდგომი აღდგენითი სამუშაოები. საქართველომაც მოიპოვა ომით მიყენებული იარაღები. რუსეთის მეტალურგიულმა ქარხანამ დაიწყო ფოლადის დნობა, აშენდა ქუთაისის საავტომობილო და თბილისის საავიაციო ქარხნები, ფეხზე დადგა ავჭალის „ცენტროლიტი“, ახალი ძალით ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვა სანარმოები. ყველაფერი ეს საქიროებდა ახალი ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრას. საქართველოში აუცილებელი გახდა მეტალურგიის სფეროში სამეცნიერო კვლევების გაფართოება და მაღალი დონის სამეცნიერო-ტიქნიკური კადრების მომზადება. ბატონი ფერდინანდი მისთვის ჩვეული ენერჯით ჩა-

ერთო ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერთა აღზრდის პროცესში.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებამ განსაზღვრა მეტალურგიის ინსტიტუტის მრავალპროფილიანობა. ფერდინანდ თაყაიძე სცილდება ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის თემატიკას და მნიშვნელოვნად აფართოებს თავისი მოღვაწეობისა და მეცნიერული ინტერესების სფეროს.

ფერდინანდ თაყაიძის სამეცნიერო სკოლის მნიშვნელოვანი მიმართულებებია:

- შენადნობების თეორია (ფაზური გარდაქმნები, რელაქსაციური მოვლენები, მრავალკომპონენტიანი სისტემების მდგომარეობის დიაგრამები, ლეგირების საფუძვლების კვლევა, ძაფისებრი კრისტალები, ლითონური ნადნობები);
- ფოლადები და შენადნობები, სპეციალური მასალები (კოროზია და ლითონთა დაცვა, კრიოგენული ფოლადები, ცეცხლგამძლე და მხურვალმედეგი შენადნობები, კომპოზიციური მასალები, ბორი და მისი შენადნობები, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი);

- სამსხმელო ნარმოება (სადნობი აგრეგატების ინტენსიფიკაცია, ზუსტი და მხატვრული ჩამოსხმის ტექნოლოგია, მოდიფიცირება, უწყვეტი ჩამოსხმა);
- მეტალურგიის ისტორია (არქეოლოგიური ლითონის კონსერვაცია-რესტავრაცია, არქეოლოგიური ლითონის საგნების დამზადების ტექნოლოგია, არქეოლოგიურ ფასულობათა დათარიღება).

ფერდინანდ თაყაიძის გარდაცვალების შემდეგ, გარკვეულ წლებში, ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო, ფერდინანდ თაყაიძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს მძიმე, თითქმის გაუსაძლის პირობებში მოუწია მუშაობა. მაგრამ ინსტიტუტის თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ მაღალი სამეცნიერო პოტენციალის თითქმის სრულად შენარჩუნება, მკვლევართა ძირითადი ხერხემლის კიდევ უფრო განმტკიცება და ახალი ენერჯითა და შემართებით თანამედროვე მეცნიერული თემატიკის წარმართვა. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტმა შეძლო სანარმო-პრაქტიკული დანიშნულების სამუშაოებზე კონცენტრირება, რამაც იგი მოახვედრა სახელმწიფო და ამავე დროს კერძო სტრუქტურების ინტერესთა სფეროში. სწორედ აქ იჩინა თავი იმ უძვირფასესმა სამეცნიერო რესურსმა, რომელიც ბატონი ფერდინანდის დირექტორობის პერიოდში დაგროვდა - ეს იყო ზღვა მასალა, რაც გადაიქცა კვლევითი ორგანიზაციის ფუნქციონირების მყარ საფუძვლად და ინსტიტუტის მდგრადი განვითარების გარანტიად. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს აკადემიკოს ფერდინანდ თაყაიძის საოცრად გააზრებულ ხედვაზე და პერსპექტივის ზუსტ და რეალურ განჭვრეტაზე ნებისმიერ ექსტრემალურ ვითარებაშიც კი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აკადემიკოს ფერდინანდ თაყაიძის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური ფოლადებისა და სპეციალური მასალების შექმნის საქმეში. მან ჩამოაყალიბა თეორიული პრინციპები და აგრეთვე შესაბამისი ტექნოლოგიური სქემები მათი რეალიზაციისათვის. მისი მოღვაწეობის დროს დაიწყო გამოკვლევები თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) სფეროში კომპოზიციური საჯავშნე და საკონსტრუქციო კერამიკული მასალების მიღებისათვის. ამ მეთოდით მიღებულმა ჯავშნებოკებმა წარმატებით გაიარა ტესტირება აშშ-ში, გერმანიაში, ისრაელსა და საფრანგეთში.

ბატონი ფერდინანდის მიერ ამ მიმართულებით დაწყებული კვლევები დღესაც ინტენსიურად ვითარდება. ამის ნათელი დადასტურებაა 2012 წლის 4-6 ივნისის თბილისში საერთაშორისო კონფერენციის „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“ მოწყობა, რომელიც პეტროგენული მასალების მიღებაზე ორიენტირებული, მათ შორის თმს-ს მეთოდით. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ აშშ-ს, ისრაელის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის ცნობილი სწავლულები.


არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი ყურადღება და თანადგომა, რომელსაც სახელმწიფო იჩენს უკანასკნელ წლებში ინსტიტუტის მიმართ. აქ შემოვიდა მეტად მნიშვნელოვანი ახალი თემატიკა თანამედროვე პრობლემებზე, ძლიერდება მატერიალურ-ტიქნიკური ბაზა, საგრძობლად გაუმჯობესდა თანამშრომელთა სოციალური და სამუშაო პირობები. ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ის გარემოება, რომ ინსტიტუტი დღეს იქცა ჭეშმარიტად მოთხოვნად კვლევით-სამეცნიერო ცენტრად, რომელსაც მომავალში კიდევ უფრო საინტერესო პერსპექტივა ესახება.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ აკადემიკოს ფერდინანდ თაყაიძის თანამოაზრეები და მრავალრიცხოვანი მონაფეხები პატივს მიაგებენ ამ დიდებული პიროვნების, სასიქადულო მამულიშვილისა და ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნას და იმედს გამოთქვამენ, რომ მისი ნამოღვაწარი მომავალშიც ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ირაკლი შორდანი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
ჯუშაბერ ხანთაძე,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აკადემიკოსი
ფერდინანდ თავაძე



Academician
Ferdinand Tavadze



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ფერდინანდ თავაძის მატალურგიისა და
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აკადემიკოსი
ფერდინანდ თავაძე

Academician
Ferdinand Tavadze

თბილისი — TBILISI
2012

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
გადაწყვეტილებით

© საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია, 2012

ფერდინანდ თავაძე

ფერდინანდ თავაძეს, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, გ.ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატს, 2012 წლის 21 მაისს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ფერდინანდ თავაძე დაიბადა ქ. გორში ნესტორ თავაძისა¹ და ნინო ბესიაშვილის ოჯახში. მან, როგორც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ სკოლაში მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება. იგი გამოირჩეოდა კეთილგანწყობით და საოცარი იუმორის გრძნობით; კარგად ხატავდა, სპექტაკლებს აფორმებდა გორის მუშათა კლუბში, სადაც წარმატებით გამოცადა თავისი არტისტული შესაძლებლობები. მაგრამ ახალგაზრდა ფერდინანდი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ზუსტი მეცნიერებებისადმი იჩენდა და სწორედ ამან განსაზღვრა მისი მომავალი – 1930 წელს ამიერკავკასიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ის სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში გაგზავნეს.

1933 წელს საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ხუთასი წარჩინებული სტუდენტი მეტალურგიული პროფილის სასწავლებლებში გადაიყვანეს ამ დარგის გაძლიერების მიზნით. მათ რიცხვში იყო ფერდინანდ თავაძეც, რომელმაც სწავლა განაგრძო ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე.

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ლენინგრადი წარმოადგენდა რუსეთის უმსხვილეს სამრეწველო-სამეცნიერო ცენტრს:

¹ ნესტორ თავაძე წარმოშობით ბაღდათიდან იყო. მას სასულიერო მოღვაწეობისთვის ამზადებდნენ, მაგრამ იგი გორში დასახლდა, ჩოხა-ახალუხის კერვის ხელოვნებას დაეუფლა და პატარა სახელოსნოც გახსნა.

აქ იყო სსრკ-ს აკადემიის პრეზიდიუმი, მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები და ქვეყნის უდიდესი ქარხნები. ამრიგად, ენერგიითა და ოპტიმიზმით აღსავსე ფერდინანდ თავაძე აღმოჩნდა მეცნიერული ტრადიციების მქონე გარემოში. ნიჭიერი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ დარჩათ და ჯერ კიდევ სტუდენტი სამუშაოდ მიიწვიეს პროფესორ ვ. ანდრეევის სამსხმელო ლაბორატორიაში ტექნიკოს-ლაბორანტად.

1935 წელს სადიპლომო ნაშრომის შესასრულებლად ფ.თავაძე ლითონების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აკადემიკოს ა. ბაიკოვის ლაბორატორიაში მიავლინეს და სადიპლომო ნაშრომის შესრულების შემდეგ იქვე დატოვეს ინჟინრის თანამდებობაზე. თავისი პირველი მეცნიერული კვლევა ფ.თავაძემ აკადემიკოს ა.ბაიკოვის ხელმძღვანელობით შეასრულა. აქვე დაუახლოვდა მაშინ უკვე ცნობილ მეცნიერს, გამოჩენილ ჩამომსხმელს, პროფესორ ნ.გირშოვიჩს, რომელთანაც თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ფერდინანდ თავაძემ კარგი სკოლა გაიარა ს. კიროვის სახელობის ქარხანაში (ყოფილი პუტილოვის ქარხანა) ინჟინერ-მკვლევარის თანამდებობაზე. მთელ ქვეყანაში ცნობილი საწარმო აღჭურვილი იყო იმ დროისათვის საუკეთესო მოწყობილობა-დანადგარებით, გააჩნდა მძლავრი ცხელი საამქროები, რაც ახალგაზრდა ინჟინერს შემოქმედებითი მოღვაწეობის ფართო ასპარეზს უქმნიდა.

ამ დროისათვის ფერდინანდ თავაძე უკვე ოთხი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მან თავი გამოავლინა როგორც კვალიფიციურმა მკვლევარმა და მიიპყრო აკადემიკოსების ა. ბარდინისა და ნ. გუდცოვის ყურადღება. ნ. გუდცოვის რეკომენდაციით ფ. თავაძე გაგზავნეს სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად. 1937 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო ის იძულებული გახდა

შენწყვიტა სამეცნიერო მოღვაწეობა ლენინგრადში და თბილისში დაბრუნებულიყო.

ფერდინანდ თავაძემ დაბრუნებისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტსა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. პარალელურად მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტში განაგრძო მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე, რომლის კონტურებიც ჯერ კიდევ ლენინგრადში გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში მას მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ლენინგრადელ მასწავლებლებთან და მეცნიერებთან. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკადემიკოს ა. ბაიკოვის კონსულტაციები.

1939 წელს ფერდინანდ თავაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წელს იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტად აირჩიეს.

1941-1945 წლის ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო გეგმები. ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე დაისვა ახალი ამოცანები ქარხნების სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. ბატონი ფერდინანდი მთლიანად ჩაება ამ რთულ და საპასუხისმგებლო პროცესში. ის თავდაუზოგავად მუშაობდა მნიშვნელოვანი თავდაცვითი ამოცანების გადასაწყვეტად.

ომის დამთავრების შემდეგ ფერდინანდ თავაძეს, როგორც დიდი სანარმოო გამოცდილების მქონე მეცნიერს, ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის გამგედ. ამ პერიოდიდან მისი მეცნიერული კვლევის ასპარეზი ფართოვდება. მას საშუალება ეძლევა სამეცნიერო კვლევები შეასრულოს როგორც ინსტიტუტში, ასევე კათედრაზე.

1947 წელს ბატონმა ფერდინანდმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქრომმანგანუმიანი თუჯები“, რომელიც მიეძღვნა

იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას და უამრავ ნოვატორულ იდეას შეიცავდა. მისი დისერტაციის ოპონენტები იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი გ.გედევანიშვილი, მოსკოველი პროფესორი ი. კორნილოვი და სტალინური პრემიის ლაურეატები, ლენინგრადელი მეცნიერები – აკადემიკოსი ნ. გუდცოვი და პროფესორი ი. ნეხენძი.

1949 წელს ახალგაზრდა პროფესორს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლითონთა ტექნოლოგიისა და ლითონმცოდნეობის კათედრის გამგედ ირჩევენ, ხოლო 1951 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის (ამჟამად ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი) დირექტორად, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

1955 წელს ბატონი ფერდინანდი უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტია, ხოლო 1960 წლიდან – აკადემიკოსი. 1962 წელს ფერდინანდ თავაძეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში უკვე დამთავრდა ომის შემდგომი აღდგენითი სამუშაოები. საქართველომაც მოიშუშა ომით მიყენებული იარები. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ დაიწყო ფოლადის დნობა, აშენდა ქუთაისის საავტომობილო და თბილისის საავიაციო ქარხნები, ფეხზე დადგა ავჭალის „ცენტროლიტი“, ახალი ძალით ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სხვა საწარმოები. ყველაფერი ეს საჭიროებდა ახალი ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრას. საქართველოში აუცილებელი გახდა მეტალურგიის სფეროში სამეცნიერო კვლევების გაფართოება და მაღალი დონის სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადება.

ბატონი ფერდინანდი მისთვის ჩვეული ენერგიით ჩაერთო ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერთა აღზრდის პროცესში. ის ძალიან საინტერესოდ კითხულობდა ლექციებს. ამაში მას, უმაღლესი პროფესიონალიზმის გარდა, ხელს უწყობდა თანდაყოლილი არტის-

ტიზმი და უშრეტი ფანტაზია, რომლის წყალობითაც იგი ლექციის მათემატიკური და ფიზიკური ფორმულირებებით დამძიმებულ მონაკვეთებს დროდადრო ლამაზი, საინტერესო ისტორიებით ავსებდა. ამით, ერთი მხრივ, აუდიტორიის დაძაბულობას ხსნიდა, სტუდენტებს ასვენებდა, მეორე მხრივ კი – მათ თვალსაწიერს აფართოებდა.

არაორდინალურად ატარებდა გამოცდებსაც. „შპარგალკები“ არ იყო საჭირო — ყველას შეეძლო ესარგებლა წიგნებით, კონსპექტებით, ნახაზებით, სქემებით. გამოცდა მიმდინარეობდა ღიად, აუდიტორიის წინაშე. ჩვეულებრივ ის იწყებოდა მეგობრული საუბრით, რაც სწრაფად გადაიზრდებოდა მეცნიერულ დისკუსიაში. ასეთი მიდგომა ზრდიდა სტუდენტის პასუხისმგებლობას. ყველა ცდილობდა თავის გამოჩენას, რათა არ შერცხვენილიყო პროფესორის წინაშე. ბატონი ფერდინანდი პატივს არ სცემდა მექანიკურად შეძენილ ცოდნას და ცდილობდა სტუდენტებში განვეითარებინა საღი აზროვნება, ფანტაზია და წიგნზე მუშაობის კულტურა. მან მიაღწია მიზანს. ამის საუკეთესო დასტურია მისი აღზრდილები — ცნობილი მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით მართავდნენ ჩვენი ქვეყნის მძლავრ საწარმოებს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებამ განაპირობა მეტალურგიის ინსტიტუტის მრავალპროფილიანობა. ფერდინანდ თავაძე სცილდება ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის თემატიკას და მნიშვნელოვნად აფართოებს თავისი მოღვაწეობისა და მეცნიერული ინტერესების სფეროს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი ტექნიკურ სფეროში უდიდესი მიღწევებითაღინიშნა. საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა სრულიად ახალი დარგები: ნახევარგამტარებისა და ზეგამტარების ფიზიკა, რადიოელექტრონიკა, გამოთვლითი ტექნიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ატომგულური ენერგეტიკა, კოსმოსური ტექნიკა და სხვა, რაც სრულიად ახალი მასალების მიღებას საჭიროებდა.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ლითონ-მცოდნეობის სფერო, მისი მეთოდები და კვლევის ობიექტები. შეიქმნა ახალი მიმართულებები – ძნელდნობადი შენადნობების, ზეგამტარების, ნახევარგამტარების, მონოკრისტალების ლითონ-მცოდნეობა; ზემოაღნიშნულის გარდა, ბატონი ფერდინანდის თვალსაწიერში მოხვდა ისეთი პრეციზიული ობიექტები, როგორცაა ძაფისებრი კრისტალები, ფირები, დანაფარები და სხვ. ლითონური შენადნობების მიღებისა და კვლევის არსენალი ახალი მეთოდებით გამდიდრდა. ლითონმცოდნეობის სამსახურში ჩადგა ვაკუუმური დისტილაცია, არგონ-რკალური, ელექტრონულ-სხივური და პლაზმური დნობები, ზონური რაფინირება გახურების სხვადასხვა წყაროთი. სტრუქტურის ოპტიკური მიკროსკოპული კვლევის მეთოდებს შეემატა მაღალტემპერატურული მიკროსკოპია, მაღალტემპერატურული თერმული, დილატომეტრული ანალიზისა და ელექტროფიზიკურ თვისებათა კვლევის მეთოდები, ნეიტრონოგრაფიული და ელექტრონული მიკროსკოპია. მნიშვნელოვნად გაიზარდა კვლევის ბარომეტრულ-ტემპერატურული ინტერვალიც. ტემპერატურის ზედა ზღვარი სულ მაღლა იწევს, ამავდროს ფართოვდება კვლევები დაბალ ტემპერატურაზე, რაც კრიოგენული ტექნიკის განვითარებასთან და ზეგამტარი მასალების მიღებასთანაა დაკავშირებული.

ეს არასრული ჩამონათვალი, რომელიც აღწერს ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ფიზიკის მსოფლიოში დღეს არსებულ ტენდენციებს, ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთათვის არა აბსტრაქტული ნუსხაა, არამედ ნივთიერი, ხელით შესახები რეალობა. ბატონი ფერდინანდის ხელმძღვანელობით კვლევები წარმატებით ხორციელდებოდა მეტალურგიის ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტისა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიებში. სწორედ ამ დაწესებულებებში ჩაისახა და განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი იდეა. ძნელია შეფასდეს დასახული და გადანეცილი

ამოცანების მნიშვნელობა და მასშტაბურობა, რამაც განაპირობა ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო სკოლის მსოფლიო აღიარება.

ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო სკოლა გამოირჩეოდა იშვიათი სტაბილურობითა და მაღალი ორგანიზებულობით, რაზეც მიუთითებს სამეცნიერო კადრების ფაქტობრივად არარსებული დენადობა იმ დანესებულებებიდან, რომლებსაც ბატონი ფერდინანდი ხელმძღვანელობდა. მის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის განსაკუთრებულობა განისაზღვრებოდა არარეგლამენტირებული სამუშაო დროით და შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროთი. იგი თანამშრომლებს დავალების მიცემისას მოქმედების სრულ თავისუფლებას უტოვებდა და ამით მათში მეცნიერული კვლევის სურვილს აღვიძებდა. ისინი ცდილობდნენ დავალება ფორმალურად კი არ შეესრულებინათ, არამედ ამ დავალებაში ბატონი ფერდინანდის „ფარული“ მიზნები ამოეცნოთ. თანამშრომლები გრძნობდნენ, რომ მუშაობის ჭეშმარიტად თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი დიდ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს.

შემოქმედება რთული პროცესია. ის ერთნაირად სასიხარულოა მხატვრისთვის, პოეტისთვის, მეცნიერისთვის და, საერთოდ, ყველა შემოქმედისა და მოაზროვნისათვის. მთავარია, რომ ადამიანმა იპოვოს თვითგამოხატვის საშუალება: ერთი ხატავს, მეორე წერს ლექსებს, მესამეს ფორმულა გამოყავს, თუმცა შემოქმედებითი პროცესის არსი ერთი და იგივეა – ევრისტიკული. განსხვავება მხოლოდ პროდუქციამია: ერთი მხატვრულია, მეორე – სამეცნიერო. და ყველაფერ ამას მათი ავტორებისთვის ბედნიერება მოაქვს. ბატონმა ფერდინანდმა თავის მონაფეებს ასწავლა, რომ ბედნიერებისკენ მიმავალი გზა შემოქმედებითი მოღვაწეობის სიხარულშია.

სამეცნიერო სკოლის ფორმირების პროცესში ორი სუბიექტი მონაწილეობს – სკოლის ფუძემდებელი და მონაფეები. სკოლის სიძლიერე – ორივე მხარის დამსახურებაა, ერთობლივი ძალისხმევის შედეგი და ამრიგად, თითოეული მათგანის მიღწევას წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ბატონ ფერდინანდს გაუმართლა და სანიმუშო მონაფეები ხვდა წილად, რომლებიც ძირითადად თვითონ შეარჩია.

ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო სკოლის მნიშვნელოვანი მიმართულებებია:

- შენადნობების თეორია (ფაზური გარდაქმნები, რელაქსაციური მოვლენები, მრავალკომპონენტიანი სისტემების მდგომარეობის დიაგრამები, ლეგირების საფუძვლების კვლევა, ძაფისებრი კრისტალები, ლითონური ნადნობები);
- ფოლადები და შენადნობები, სპეციალური მასალები (კოროზია და ლითონთა დაცვა, კრიოგენული ფოლადები, ცეცხლგამძლე და მხურვალმედეგი შენადნობები, კომპოზიციური მასალები, ბორი და მისი შენადნობები, თვითგავრცელებადი მალალტემპერატურული სინთეზი);
- სამსხმელო წარმოება (სადნობი აგრეგატების ინტენსიფიკაცია, ზუსტი და მხატვრული ჩამოსხმის ტექნოლოგია, მოდიფიცირება, უწყვეტი ჩამოსხმა);
- მეტალურგიის ისტორია (არქეოლოგიური ლითონის კონსერვაცია-რესტავრაცია, არქეოლოგიური ლითონის საგნების დამზადების ტექნოლოგია, არქეოლოგიურ ფასეულობათა დათარიღება).

წარმოიდგინეთ, რომ ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის ყოველი პუნქტის უკან პიროვნება ან ადამიანთა მთელი ჯგუფი დგას. ბატონი ფერდინანდი რეგულარულად მოინახულებდა თითოეულ მათგანს, ეცნობოდა კვლევის შედეგებს, ესაუბრებოდა მომავალ გეგმებზე, უსმენდა მათ, უზიარებდა თავის შეხედულებებს და ბოლოს, ანალიზს უკეთებდა რა ყველაფერს, ერთიან მეცნიერულ კონცეფციად აყალიბებდა. გასათვალისწინებელია აგრეთვე სამეცნიერო და ორგანიზაციული საკითხების სიმრავლეც – მონაწილეობა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, ლითონთა ტექნოლოგიისა და ლითონმცოდნეობის კათედრისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების² სხდომებში, მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი დატვირთვები, მონაწილეობა

2 ფერდინანდ თავაძე წლების მანძილზე ამ განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე იყო

სხვადასხვა ორგანიზაციების ყრილობებსა და კონფერენციებში, თანამშრომელთა ყოფითი პრობლემები, უამრავი საკითხი, დაკავშირებული ინსტიტუტისა და კათედრის მუშაობასა და საქმიანობასთან.

საოცრად მაღალი იყო ფერდინანდ თავაძის ცხოვრების ტემპი!

ფერდინანდ თავაძის გარდაცვალების შემდეგ განვლილმა 23 მშფოთვარე წელმა მკაცრი გამოცდა მოუწყო ქართულ მეცნიერებას. საერთო მძიმე ფონზე ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო სკოლამ საოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა და მასწავლებლის მიერ დაგროვილ რესურსზე დაყრდნობით გაუმკლავდა შექმნილ პრობლემებს.

გატარებულმა რეორგანიზაციამ და თანამშრომელთა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო. დღეს ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული თავისი პროფილის სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებებით მიმდინარე სამუშაოებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოებს საფუძველი ჯერ კიდევ ფერდინანდ თავაძემ ჩაუყარა.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი დღესაც სრული დატვირთვით მუშაობს და წარმატებით აგრძელებს დიდი მეცნიერის მიერ დაწყებულ საქმეს.

აკადემიკოს ფერდინანდ თავაძის თანამოაზრეები და მრავალრიცხოვანი მოწაფეები პატივს მიაგებენ ამ დიდებული პიროვნების, სასიქადულო მამულიშვილისა და ღვანლმოსილი მეცნიერის ხსოვნას და სწამთ, რომ მისი ნამოღვაწარი მომავალშიც ბევრ სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ჯუმბერ ხანთაძე

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

FERDINAND TAVADZE

Ferdinand Tavadze, a prominent scientist and public figure, academician of the Georgian National Academy of Sciences, professor, Honoured Scientist, winner of the G. Nikoladze prize, would have turned one hundred on May 21, 2012.

Ferdinand Tavadze was born in Gori to the family of an artisan. When still at school, he attracted the teachers' attention as a gifted young man. He was notable for his goodwill, sociability and sense of humour, he drew well, he was a good stage-painter for the workers' club in Gori and there he tried his artistic talent. But he had a special gift for exact natural sciences. Apparently, due to this fact, in 1930 he was assigned to study at Moscow Timber Technical Institute where he was referred by the Central Committee of the Transcaucasian Communist Party.

In 1933, upon the decision of the government, 500 excellent students including F.Tavadze were assigned to study in the educational institutions of metallurgy profile with a view to developing metallurgy in the USSR. As a result, F.Tavadze continued his studies at the Metallurgy Department of Leningrad Industrial (afterwards Polytechnical) Institute.

In the thirties of the past century, Leningrad was a big scientific center of the country: based here were the Presidium of the Academy of Sciences of the USSR, scientific research institutes of world significance, leading higher educational establishments, a number of large plants. Thus, young Ferdinand Tavadze found himself in the city with scientific background and ancient traditions where he could learn many things and show his own worth. He attracted notice immediately and already as a student he began to work as technician-laboratory assistant in the casting laboratory of Professor V.Andreev. Talent, inexhaustible energy and purposefulness promoted his further advancement as a scientist.

In 1935 F.Tavadze was sent to the Central Scientific Research Institute of Metals to work at his diploma in the laboratory of Academician A.Baikov. After

defending his diploma he was offered the position of an engineer-researcher in the same laboratory where he did his first scientific studies under the guidance of Academician A.Baikov. There he met a well-known specialist in casting, Prof. N.Girshovich. A lifelong friendship facilitated their long-term and fruitful creative cooperation.

Later F.Tavadze advanced his skills as an engineer-researcher at the Kirov plant (former Putilov plant). This renowned plant had the best equipment of that time and hot shops and opened to the young engineer a whole vista of creative activities.

By that time F.Tavadze, the author of four scientific works showing his worth as a talented investigator, fell into the field of vision of Prof. N. Gudtsov whose reference led him as a competitor for scientific degree to the Institute for Scientific Personnel's Professional Development. However, for family reasons, in 1937 he had to stop his scientific activity and return to Tbilisi.

On his return Ferdinand Tavadze integrated into the circle of Tbilisi scientists and started teaching at Georgian Industrial Institute and Tbilisi Institute of Railway Transport Engineers. While working at the P.Melikishvili Institute of Chemistry of the Georgian Academy of Sciences, he at the same time continued to work at his theses conceived of back in Leningrad. It is noteworthy that in the process of his work he could always rely upon the support of his teachers and colleagues from Leningrad. He was in correspondence with them; he consulted with them, especially with Academician A.Baikov who did his best to help his dear disciple.

In 1939, F. Tavadze defended successfully his theses. The same year he was elected assistant professor at the chair of technology of metals of the Georgian Polytechnical Institute.

The war of 1941-1945 changed considerably F.Tavadze's plans. New tasks related with converting plants to manufacturing combat machinery and equipment were set up before the technical intelligentsia. Ferdinand Tavadze

was fully absorbed in this complicated and crucial process. He did not spare himself while working on the solution of important defence tasks.

